ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №61

02.04.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032109178-03, 01.04.21);**

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032107747-03; 18.03.2021);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0321083116-03; 24.03.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **ლევან მიქავა -** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე.

1.**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032109178-03, 01.04.21):**

შ.ოგბაიძე - მოგესალმებით, მომხსენებელს ვთხოვ წარმოგვიდგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

ლ.მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს, რომელიც ხორციელდება 2021 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით.წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 7 000,0 ათასი ლარით და შეადგენს **1 112 410,3 ათას** ლარს. პროექტში ასახულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის 5 მარტის №106 სხდომის ოქმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 მარტის №21.279.311 განკარგულებით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია **(კოდი 01 02 05)** ქვეპროგრამის და საბაგირო ტრანსპორტის განვითარება **(კოდი 01 02 08)** ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებები.

ასევე, დაზუსტდა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება **(კოდი 06 02 11)** ქვეპროგრამის აღწერილობითი ნაწილი. კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება, ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) მგზავრობისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება. ცვლილების შედეგად, ქვეპროგრამის აღწერილობით ნაწილში M3 კატეგორიის ავტობუსების და ელექტროტრანსპორტის (მეტრო) გარდა მიეთითება მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032109178-03, 01.04.21)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032107747-03; 18.03.2021):**

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. კერძოდ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ-რუკაში (დანართი N1), რომელიც ითვალისწინებს: პერსპექტიული ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნისა და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის დამაკავშირებელი საბაგირო დერეფნების კორექტირებასთან ერთად, არსებული, რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი დერეფნის ასახვას, სანებართვო-სამშენებლო შეზღუდვების დატანით.

უნდა აღინიშნოს, საბაგირო დერეფნების დაზუსტება ფინანსურად არ გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს, ხოლო, მგზავრთა გადაყვანის რაოდენობის მხრივ, ბევრად მეტი მგზავრის გადაყვანა იქნება შესაძლებელი.

ი. ჯიშკარიანი - როდესაც საუბრობთ დაზუსტებაზე რას გულისხმობთ.

დ.ჯაიანი - მოგეხსენებათ, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ის გარკვეული მანძილით უნდა იყოს დაშორებული რკინიგზისგან და სხვა. ამ დროისთვის, დაკორექტირდა სამგორი-ვაზისუბნის სამ სადგურიანი პროექტი და კვლევისთვის მზად არის ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის ხუთ სადგურიანი საბაგირო დერეფანი. ასევე, დაკორექტირდა სარაჯიშვილი-ზღვისუბნის საბაგირო დერეფანი.

შ.ოგბაიძე - თუ არის ცნობილი, რა თანხებთან იქნება დაკავშირებული საბაგიროთი მგზავრთა გადაადგილება და ხომ არ იგეგმება ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვა.

დ.ჯაიანი - როგორც იცით, საბაგირო დერეფნებთან დაკავშირებით, წინასწარი კვლევის დაზუსტების ეტაპზე ვიმყოფებით, შესაბამისად ამ მოცემულობაში, გადაადგილების ფასები და ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვა/არ ჩართვის საკითხი აქტუალური ვერ იქნება. როდესაც მივალთ შესაბამის კონდიციამდე, ვიმსჯელებთ ფასზეც და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032107747-03; 18.03.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში**

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321083116-03; 24.03.2021):

დ.ჯაიანი - პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების პირველი მუხლის პირველ პუნქტში და ყალიბდება ახალი რედაქციით.

წარმოდგენილ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტს, N77-18 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც, №17-47 დადგენილების დანართ 1-ში, ლოტ №3-ზე გაუქმდა 3 მარშრუტი, ლოტ №4-ზე - 15 მარშრუტი, და ლოტ №5-ზე- 9 მარშრუტი, ჯამში გაუქმდა 27 მარშრუტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321083116-03; 24.03.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე